საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი 30.03.2023 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (უზუფრუქტუარი ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) შენობა-ნაგებობაზე ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის 2023 წლის 28 თებერვლის №3 სხდომის ოქმის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 მარტის №24-242306635 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (უზუფრუქტუარი ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“) №43.31.49.143 საკადასტრო კოდზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის ნაწილზე ((ადმინისტრაციის შენობა) განაშენიანების ფართი 480.06 კვ.მ-დან: კაფეტერია - 43.03 კვ.მ; სამზარეულო - 8.95 კვ.მ; კორიდორი - 6 კვ.მ; დაცვის ოთახი (სათავსოსათვის) - 20 კვ.მ და ბოტანიკური ბაღის წინ მდებარე 200 კვ.მ ღია სივრცე) ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით 3 წლის ვადით იჯარის წესით გადაცემაზე და საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 43 200 (ორმოცდასამი ათას ორასი) ლარით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა ფარულავა**